ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 46

“ 24 ” თებერვალი 2017 წ.

ქ. თბილისი

სსიპ ქალაქ თბილისის №9 საჯარო სკოლისთვის ნოდარ ახალკაცის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ,,საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მე-4[1] მუხლის თანახმად, ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ქალაქ თბილისის №9 საჯარო სკოლის დირექციასა და სამეურვეო საბჭოს, რომ აღნიშნულ სკოლას მიენიჭოს ნოდარ ახალკაცის სახელი.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისის დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი